

განათლება დემოკრატიული მოქალაქეობისთვის და ადამიანის
უფლებათა სწავლების ქარტიის იმპლემენტაციის დონე საქართველოს
ზოგადსაგანმანათლებლო სექტორში

ნიკა ბახსოლიანი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საჯარო ადმინისტრირების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო დოლიძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

სარჩევი

აბსტრაქტი:.....	4
ABSTRACT.....	4
აბრევიატურების ჩამონათვალი:.....	5
I მიმოხილვა.....	6
II მეთოდოლოგია	6
III ლიტერატურის მიმოხილვა	9
3.1 მდგრადი განვითარების მიზნები, განათლება და ადამიანის უფლებათა სწავლება;.....	9
3.2. გდმ/აუს ქარტიის მიმოხილვა.....	12
IV კონცეფციის კვლევა ადამიანის უფლებათა შესახებ	14
4.1 საკანონმდებლო ჩარჩო, პოლიტიკის დოკუმენტები და ხელისუფლების ვალდებულებები.....	14
4.2 საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ (საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ, 2005).....	15
4.3 ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები.....	16
4.4 განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017-2021 (განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017-2024, 2017).....	17
V კონცეპტუალიზაციიდან ოპერაციონალიზაციამდე, პირველადი მონაცემების ანალიზი	23
5.1 ეროვნული სასწავლო გეგმა	23
5.2 მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროექტი	25
5.3 სახელმძღვანელოების გრიფირება	28
5.4 საგანმანათლებლო გარემო, დირექტორების და მანდატურების როლი	32
5.5 მასწავლებელთა როლი	34
VI სამოქალაქო განათლება და კავშირი ადამიანის უფლებების სწავლებასთან.....	40
6.1 სამოქალაქო განათლების დანერგვის დინამიკა.....	40

6.2 სახელმძღვანელო:	45
6.3 მოსწავლეთა დამოკიდებულება საგნის მიმართ:	47
6.4 მოსწავლეთა ცნობიერება და ცოდნა ადამიანის უფლებების შესახებ:.....	49
VII სხვა აქტორები	53
7.1 სამინისტროს ეკოსისტემა.....	53
7.1 დაინტერესებული პირების და აქტორების მიმოხილვა	55
7.3 სახალხო დამცველის მანდატი და განხორციელებული აქტივობები.....	57
7.4 ახალგაზრდობის სააგენტო.....	58
VIII ქეისები უცხოეთიდან.....	59
8.1 სასწავლო განზომილებებში მრავალფეროვნებისა და კულტურული პერსპექტივების ინკლუზია - კანადა.....	59
8.2 სამოქალაქო საზოგადოების როლი სამოქალაქო განათლებაში - იტალია.....	61
IX პროსპექტები.....	62
X დასკვნები	63
10.1 კვლევის შედეგები	63
10.2 კვლევის ძირითადი მიგნებები.....	66
ბიბლიოგრაფია	67
დანართი 1 - რაოდენობრივი კვლევის კითხვარი.....	72
დანართი 2 - თვისებრივი კვლევა - ფოკუს-ჯგუფი.....	82
დანართი 3 - თვისებრივი კვლევა - ჩადრმავებული/ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ.....	84
დანართი 4 - თვისებრივი კვლევა - ჩადრმავებული/ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ - ექს-ანტე შეფასება.....	86

აბსტრაქტი:

საქართველომ ადამიანის უფლებების დანერგვისა და მათი დარღვევების პრევენციის ვალდებულებების ფარგლებში პასუხისმგებლობა აიღო დემოკრატიული და მიმღებლური კულტურის დამკვიდრებაზე, განსაკუთრებით ადამიანის უფლებათა პრომოუციისა და სწავლების მხრივ. ერთ-ერთი ასეთი პასუხისმგებლობის მაგალითია ევროპის საბჭოს მინისტრთა რეკომენდაცია დემოკრატიული მოქალაქეობის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების შესახებ ქარტიის დანერგვის შესახებ, რომელიც ევროპის საბჭოს სტანდარტის დადგენისა და რბილი კანონის ერთ-ერთი მეთოდია. სამაგისტრო ნაშრომის მიზანი იყო გამოერკვია ამ ქარტიის აღსრულების დონე საქართველოდ ზოგადსაგანმანათლებლო კონტექსტში, გამოეკვლია თუ რა სიტუაციური რეალობაა, რა გამოწვევები და პროსპექტები არსებობს მისი უკეთ დასაგეგმად. კვლევამ მიმოიხილა საქართველოში ქარტიასთან საჯარო პოლიტიკის შესაბამისობა და ეფექტურობა, განსაკუთრებით ახალი, მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა და მისი დანერგვის პროექტი „ახალი სკოლის მოდელი,“ რომელიც ახალი სიტყვაა ქართულ ზოგადსაგანმანათლებლო გარემოში და დიდი ინტერესით უყურებენ დარგის ექსპერტები. კვლევა ასევე კონცენტრირდა სამოქალაქო განათლების საგნებზე, რომელიც, ფაქტობრივად, დემოკრატიული მოქალაქეობის შესახებ განათლების ექვივალენტურია და, გარკვეულწილად, მოიცავს ადამიანის უფლებათა სწავლებასაც. ეს საგანი ახალი შემოსულია საგაკვეთილო გარემოში, და ამიტომ, კვლევის ფარგლებში იძებნებოდა ნარატივების და დამოკიდებულებები მის შესახებ, ექსპერტების, მასწავლებლებისა და მოსწავლეების მხრიდან. სამაგისტრო ნაშრომი მიმოიხილავს განათლების სამინისტროს გარდა სხვა აქტორების როლსა და რესურსს, და ასახელებს გარკვეულ კვლევის მიგნებებს.

ძირითადი თემატური საძიებო სიტყვები: ადამიანის უფლებათა სწავლება, განათლება დემოკრატიულ მოქალაქეობაზე, სამოქალაქო განათლება, საგანმანათლებლო პოლიტიკა.

Abstract

Under the commitment to ensure the fulfillment and the protection of the human rights, Georgia took the responsibility to cultivate democratic and accepting culture,

especially via human rights promotion and education. One this kind of responsibility is the implementation of the Council of Europe Committee of Ministers Recommendation on the Charter on Education for Democratic Citizenship, Human Rights Education, which is one of the example of Council of Europe soft law and standard for human rights. The aim of this master thesis was to evaluate the state of implementation of this charter in the Georgian secondary education system, analyze the situational reality, identify the challenges and prospects for better planning The research went through to measure the complementarity of the Georgian public policy with the charter and its effectiveness, especially the renewed "Third Generation National Educational Plan" and its implementation project "New School Model", which is the new word in Georgian educational system and attracts a great deal of attention of the experts. The research focused on civic education subjects, which is, practically, equivalent to democratic citizenship education and partially covers human rights education. This subject has entered the classrooms recently, and that's why identifying surrounding narratives and attitudes of the experts, teachers and students towards it was one of the aims of the research. The master thesis is mapping the different actors in the field other than Ministry of Education and Science and resources, and draws conclusions.

General thematic search words: human rights education, education for democratic citizenship, civic education, education policy.

აბრევიატურების ჩამონათვალი:

გდმ/აუს (ან EDC/HRE) - განათლება დემოკრატიული მოქალაქეობისთვის, ადამიანის უფლებათა სწავლება;

CM/REC - მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია

UN - გაერთიანებული ერების ორგანიზაცია

UNESCO - გაერთიანებული ერების ეკონომიკური, სოციალური და კულტურის ორგანიზაცია

ODIHR - ოფისი დემოკრატიის ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების

OSCE - ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია

OHCHR - ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი